

იბერები, კელტები, გერმანელები.

მათი როლი ევროპის ისტორიაში

პირველი ადამიანი ევროპაში გამოჩნდა 55.000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პლეისტოცენური ეპოქის გამყინვარების შემდეგ, ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რაც გამოიხატა მიწათმოქმედების განვითარებასა და ფართოდ გავრცელებაში. მიწათმოქმედების განვითარებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მუდმივი დასახლებების წარმოშობას 7.000 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რამაც საფუძველი ჩაუყარა და ბიძგი მისცა ევროპული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას.

ევროპის ისტორიაში რამდენიმე რასა ენაცვლებოდა ერთმანეთს ან თანაარსებობდა, რამაც დიდი როლი ითამაშა თანამედროვე ევროპელი ერების ეთნოგენეზში. მესამე თავში განხილული იყო რომის იმპერიისა და ლათინური ენის როლი რომანულ ენებზე მოლაპარაკე ევროპელი ერების ისტორიაში. ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ იბერიელებზე, კელტებზე და, განსაკუთრებით, გერმანიკულ ტომებზე.

იბერიული რასა, იბერები¹ ესპანეთის უძველესი მოსახლეობა იყო. იბერები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ესპანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში, მოგვიანებით კი, ძველი წელთაღრიცხვის VII - III საუკუნეებში მთელი პირენეს ნახევარკუნძული დაიკავეს. ამ ნახევარკუნძულსაც მათი სახელი ეწოდა და დღესაც, იბერიის ნახევარკუნძული პირენეს ნახევარკუნძულის მოძველებული სახელია. იბერიელები დასახლებული იყვნენ ბრიტანეთშიც და ისინი ბრიტანეთის ერთ-ერთ პირველ მოსახლეობად ითვლება.

¹ უძველესი დროიდან არსებობდა აზრი ესპანეთის იბერების კავკასიის იბერებთან ნათესაობის შესახებ. ამაზე წერდნენ აპიანე ალექსანდრიელი, სტრაბონი. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ცნობილი იყო ქართველი მოღვაწეებისათვის ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, მაგალითად, ამის შესახებ იცოდა გიორგი მთაწმინდელმა. კავკასიელი იბერებისა და ესპანელი იბერების გენეზისური კავშირის შესახებ თეორიას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. ეს საკითხი დღესაც გაურკვეველია, თუმცა ორივე თეორიის მომხრეებს თავიანთი არგუმენტები აქვთ საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად.

იბერიელები მომცრო ტანის შავგვრემანი ხალხი იყო. ამ რასის წარმომადგენლები მიცვალებულებს მიწაში მარხავდნენ, რის გამოც შემორჩა მრავალი ჩონჩხი და თავის ქალა. ქალების საშუალო სიმაღლე იყო დაახლოებით 1.46 მეტრი, კაცებისა კი - 1.65 მეტრი. მათ ჰქონდათ გრძელი თავის ქალა, დაბალი შუბლი და კეხიანი ცხვირი. იბერიელები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მათ ჰქონდათ განვითარებული მეტალურგია. იბერიელი ტომები სახლდებოდნენ ქალაქური ტიპის გამაგრებულ სამოსახლოთა გარშემო. იბერიის კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ტურდეტანების მხარე, ახლანდელი ანდალუსია და მურსია. ანტიკური ავტორების მიხედვით აქ არსებობდა ტარტესის სახელმწიფო, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1100 წელს დაარსდა. აღსანიშნავია, რომ იბერებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. ძველი წელთაღრიცხვის III – II საუკუნეებში იბერიელები რომაელებმა დაიპყრეს, რასაც შედეგად მოჰყვა მათი სრული რომანიზაცია. ძველი წელთაღრიცხვის VI – III საუკუნეებში იბერების ნაწილი კელტებს შეერწყა და ასე ჩამოყალიბდა კელტიბერთა ტომი.

იბერიელების შთამომავლებად თანამედროვე ევროპაში ბასკებს მიიჩნევენ.

შემდეგი რასა, რომელიც ევროპაში დასახლდა იყო **კელტური** რასა, ინდოევროპული წარმოშობის ტომები. კელტები ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის I ნახევარში ცხოვრობდნენ რაინის, სენის, ლუარის აუზში და დუნაის სათავეებთან. მოგვიანებით ისინი დასახლდნენ თანამედროვე საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ავსტრიის ტერიტორიაზე, გერმანიის სამხრეთით, ჩრდილოეთ იტალიაში, ესპანეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში, ბრიტანეთის კუნძულებზე, აგრეთვე ჩეხეთის და, ნაწილობრივ, უნგრეთის ტერიტორიაზე.

კელტური ტომების სოციალური სისტემა სამსაფეხურიანი იყო: მეფე, მეომარი არისტოკრატია და თავისუფალი ფერმერები. დრუიდები მეომართა წრიდან შეირჩეოდნენ, თუმცა უფრო მაღალი იერარქიის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ და ასრულებდნენ ქურუმების, მასწავლებლებისა და მოსამართლეების ფუნქციებს.

კელტები მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ისინი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგნენ როგორც ინტელექტუალურად, ისე მატერიალური კულტურის დონით. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში განვითარებული ლა ტენის კულტურა, გამოკვეთილი აბსტრაქტული გეომეტრიული ფიგურებითა და სტილიზებული ჩიტებისა და ცხოველების გამოსახულებით მეტყველებს კელტების ესთეტიკურ ღირებულებებზე. კელტებში დიდად ფასობდა მუსიკა, პოეზია და ისინი სამართლიანად ითვლებიან ევროპის ბოლო მატერიალური და ინტელექტუალური განვითარების საფეხურად, სანამ ევროპაში ფართოდ გავრცელდა რომაული და ბერძნული კულტურა.

კელტურ ენებს, როგორც აღინიშნა, ყოფენ ორ ჯგუფად: კონტინენტური და კუნძულის (Insular) კელტური ენები. კონტინენტური ენებია ამჟამად მკვდარი ენები - **გალური** და **კელტიბერიული**. კუნძულის კელტური ენები მოიცავს: უელსურ, კორნუოლურ და ბრეტონურ ენებს. ასევე **ირლანდიურ**, **შოტლანდიურ** და **მენურ** ენებს (კელტური ენების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ მესამე თავი).

მომდევნო რასა ევროპაში იყო **გერმანიკული რასა**. თავდაპირველად გერმანიკული მოდგმის ხალხებს ვერ ასხვავებდნენ კელტებისგან. პირველი იყო იულიუს კეისარი, რომელმაც ისინი კელტური ტომებისგან გამოყო. ანტიკური პერიოდის ავტორები ძველ გერმანელებს აღწერენ როგორც ახოვან, მეომარ, უშიშარ, ქერათმიან და ცისფერთვალება ხალხს. ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნეში გერმანიკულ ტომებს ეკავათ ევროპის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდ. რაინზე, აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ვისლაზე, სამხრეთი საზღვარი მდ. დუნაიზე, ჩრდილოეთით ამ ტერიტორიას ესაზღვრებოდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები, გერმანიკულ ტომებს ასევე ეკავათ იუტლანდიის ნახევარკუნძული და სამხრეთი სკანდინავია. პირველ სურათზე ჩანს კელტებისა და გერმანიკული ტომების გავრცელების არეალი, ყვითელი ფერით გერმანიკული ტომებია გამოსახული რუკაზე, ლურჯით კი კელტები. გერმანიკულ ტომებს ეს ტერიტორია ეკავათ ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. IV საუკუნიდან იწყება

გერმანიკულ ტომთა მასობრივი მიგრაცია, რომელმაც მოიცვა ევროპის უზარმაზარი ტერიტორია და VII საუკუნემდე გაგრძელდა. ამ მიგრაციას ხელი შეუწყო გერმანელთა ტომობრივი კავშირების წარმოქმნამ, რომელიც მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდა. გერმანელთა მიგრაცია გახდა ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ხალხთა დიდი გადასახლება ეწოდება გერმანიკული, სლავური და სხვა ტომების მასიურ შეჭრას რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV – VII საუკუნეებში, რამაც დააჩქარა დასავლეთ რომის იმპერიის დამხობა და მის ტერიტორიაზე ე.წ. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა.



სურათი 1.

გერმანიკულმა ტომებმა, ტევტონებმა (Germanic tribes, Teutonic tribes) და მათმა დიალექტებმა დასაბამი მისცეს თანამედროვე გერმანიკულ ენებს. ამასთან ერთად, ამ ტომებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს თანამედროვე ევროპელი ერების – გერმანელების, ჰოლანდიელების, ფლანდრიელების, დანიელების, შვედების, ინგლისელების და სხვა გერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეთნოგენეზში. გერმანიკულმა ტომებმა ასევე დიდი როლი ითამაშეს ევროპის თანამედროვე არაგერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე ერების ისტორიაში.

ძველგერმანიკულ ტომთა კლასიფიკაცია

გერმანიკულ ტომებს ტრადიციულად ყოფენ სამ ქვეჯგუფად: აღმოსავლურგერმანიკულ, დასავლურგერმანიკულ და ჩრდილოგერმანიკულ ტომებად.

აღმოსავლურგერმანიკული ტომების საერთო სახელწოდებაა – **ვინდილები**. ამ ტომებს განეკუთვნებიან: გოთები, ვანდალები, ბურგუნდები, გეპიდები და სხვ. ისინი ცხოვრობდნენ გერმანელების მიერ დაკავებული ტერიტორიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში (იხ. სურათი 2).

დასავლურგერმანიკულ ტომებს ყოფენ სამ ქვეჯგუფად: **ინგვეონები**, **ისკვეონები (ისკევონები)** და **ჰერმინონები**.

ინგვეონები მოიცავდნენ შემდეგ ტომებს: ანგლებს, საქსებს, იუტებს, ხავკებს, ფრიზებს და სხვა. ეს ტომები ცხოვრობდნენ გერმანიის ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე (იხ. სურათი 2).

ისკვეონების (ისკევონების) ტომობრივ ჯგუფში შედიოდნენ: ბატავები, ხამავები, ბრუქტერები, ტენქტერები, უზიპეტები, სიგამბრები, სალიუსები და სხვა. ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან ისკვეონებმა შექმნას ძლიერი ტომობრივი



სურათი 2.

კავშირი და ამ პერიოდიდან ისინი ფრანკების სახელით არიან ცნობილი (იხ. სურათი 2).

ჰერმინონები მოიცავდნენ: ხატებს, ლანგობარდებს, სვევებს, მარკომანებს, ხერუსკებს და სხვა (იხ. სურათი 2).

ჩრდილოგერმანიკული ტომები, ჰილევინონები აერთიანებდნენ სკანდინავიურ ტომებს: გაუტებს, სვიონებს, ტეუსტებს, დანებს, აუგანდებს, რუგებს და სხვა ტომებს.

დასავლურგერმანიკული ტომები და მათი მიმართება თანამედროვე

დასავლურგერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე ერებთან

V საუკუნეში, კერძოდ 449 წელს ინგვეონური ტომები ანგლები, საქსები და იუტები (ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით ფრიზები) შეიჭრნენ დიდ ბრიტანეთში და დაამარცხეს ადგილობრივი კელტური მოსახლეობა ბრიტები, რომელთა შთამომავლები არიან თანამედროვე უელსელები და კორნუოლელები. ეს ამბავი

აღწერილია პირველი ანგლოსაქსი ისტორიკოსის ღირსი ბედას (the Venerable Bede) მიერ მის ისტორიულ თხზულებაში „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“. ბედას ნაშრომის ის თავი, რომელსაც ეწოდება „ანგლოსაქსთა დასახლება ბრიტანეთში (The Coming of the English)“ შეტანილია „გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათიაში“ როგორც ძველ ინგლისურ ენაზე, ისე თანამედროვე ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანში შემდეგ ბმულზე <https://germanic.ge/ka/ang/record/the-coming-of-the-english>.

ანგლოსაქსებმა ბრიტანეთში დააარსეს შვიდი სამეფო, ჰეპტარქია. ანგლების სამეფოები იყო: **მერსია**, **ნორთუმბრია** და **აღმოსავლეთ ანგლია**; საქსებმა ბრიტანეთში საფუძველი ჩაუყარეს **უესექსს** (დასავლელი საქსები - West Saxons), **ესექსს** (აღმოსავლელი საქსები - East Saxons) და **სასექსს** (სამხრეთელი საქსები - South Saxons), იუტებმა კი დააარსეს **კენტი**. ანგლოსაქსების ბრიტანეთში გადასახლებით იწყება ინგლისელი ერის ისტორია, თავად სახელი „ინგლისი“ კი ანგლების ტომის სახელს უკავშირდება.

ინგვეონურ ჯგუფს განეკუთვნებიან **ფრიზები**, რომლებიც ბევრად მრავალრიცხოვანნი იყვნენ იმ ეპოქაში მათ თანამედროვე მემკვიდრეებთან შედარებით. როგორც მეორე თავში განვიხილეთ, ფრიზები ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ დღეს ჰოლანდიაში (სადაც ისინი ცხოვრობენ ორენოვან პროვინციაში **ფრისლანდია**, სიტყვასიტყვით - ფრიზების მიწა) და გერმანიის ორ პროვინციაში. ფრიზები ნაწილობრივ ნიდერლანდელი ერის ეთნოგენეზშიც მონაწილეობდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ბრიტანეთში ანგლოსაქსებთან ერთად ფრიზებიც გადასახლდნენ. ასე, რომ მათ, სავარაუდოდ, ინგლისელი ერის ჩამოყალიბებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

საქსების ნაწილი არ გადასახლებულა ბრიტანეთში და კონტინენტზე დარჩა. საქსების ის ნაწილი, რომელიც კონტინენტზე დარჩა, გერმანელი ერის შემადგენლობაში შევიდა, მათი მცირე ნაწილი კი ნიდერლანდელ ერს შეერია. როგორც ვხედავთ,

ინგვეონურმა ტომებმა დიდი როლი ითამაშეს თანამედროვე ინგლისელებისა და ფრიზების ჩამოყალიბებაში. მათ, ასევე მონაწილეობა მიიღეს ნიდერლანდელი და გერმანელი ერების ეთნოგენეზში. ეს პროცესები კარგად ჩანს გიორგი მელამის მიერ შედგენილი ცხრილიდან (იხ. ცხრილი 1).²


როგორც უკვე აღინიშნა, III საუკუნიდან ისტვეონები ქმნიან ძლიერ ტომობრივ კავშირს, რომელიც ფრანკების სახელითაა ცნობილი. ფრანკები რაოდენობითა და სიძლიერით გამორჩეული ტომობრივი კავშირი იყო კონტინენტზე. დღეისათვის ევროპაში გერმანიკულ ენებსა თუ დიალექტებზე მოლაპარაკეთა დიდი უმრავლესობა სწორედ ფრანკული წარმომავლობისაა. ფრანკები არიან ნიდერლანდელები (ჰოლანდიელები და ფლანდრიელები), რომლებიც ქვემოფრანკულ დიალექტებზე ლაპარაკობენ; გერმანიის უდიდესი ნაწილიც სწორედ ფრანკული წარმოშობის ტომებითაა დასახლებული (იხ. ცხრილი 1).

რაც შეეხება ჰერმინონებს, ე.წ. სამხრეთგერმანულ ჯგუფს, ჰერმინონული წარმოშობის ტომები ცხოვრობენ შვეიცარიაში, სადაც მოსახლეობის 70 პროცენტი გერმანულენოვანია; ისინი ასევე ცხოვრობენ გერმანიის სამხრეთ რეგიონებსა და ავსტრიაში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გერმანელი ერის ეთნოგენეზში სამივე დასავლურგერმანიკულ ტომს აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც კარგად ჩანს პირველი ცხრილიდან. შესაბამისად, გერმანულ ენაშიც სამივე დასავლურგერმანიკული ჯგუფის (ინგვეონები, ისტვეონები, ჰერმინონები) დიალექტებია წარმოდგენილი. სავარაუდოდ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს ერთმანეთის არ ესმით, თუ ისინი ლიტერატურულ გერმანულ ენაზე არ საუბრობენ.

² ცხრილები მოყვანილია გიორგი მელამის წიგნიდან „გერმანიკული ტომების ისტორია და კულტურა“. წიგნის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე: <https://margaliti.com/25/post15.htm>

დასავლურგერმანიკული მოდგმის თანამედროვე ერები და მათი წინაპარი ძველი გერმანიკული ტომები



ცხრილი 1.

ჩრდილოგერმანიკული ტომები და მათი მიმართება თანამედროვე

ჩრდილოურგერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე ერებთან

როგორც აღინიშნა, ჩრდილოგერმანიკული ტომების საერთო სახელწოდებაა ჰილევინები და აერთიანებს შემდეგ ტომებს: გაუტებს, სვიონებს, ტეუსტებს, დანებს, აუგანდებს, რუგებს და სხვა ტომებს. სწორედ მათი შთამომავლები არიან თანამედროვე ჩრდილოგერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე სკანდინავიელი ერები: შვედები, დანიელები, ნორვეგიელები, ისლანდიელები და ფარერელები.

შვედები ძირითადად სვიონების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ და სწორედ ამ ტომის სახელი ეწოდა მთელს ერს. გარდა სვიონებისა, შვედების ეთნოგენეზში ასევე მონაწილეობდნენ გაუტები, ტეუსტები და ბერგები (იხ. ცხრილი 2).


დანებისგან ჩამოყალიბდა თანამედროვე დანიელი ერი.

ნორვეგიელები განვითარდნენ რაუმებისგან, რუგებისგან, აუგანდებისგან და სხვა ტომებისგან.

IX საუკუნიდან დასავლეთნორვეგიელი კოლონისტები დასახლდნენ ისლანდიასა და ფარერის კუნძულებზე, სადაც მათ მიიტანეს თავიანთი ნორვეგიული ენა. ისლანდიასა და ფარერის კუნძულებზე ეს ენა დამოუკიდებლად განვითარდა და დასაბამი მისცა თანამედროვე ისლანდიურ და ფარერულ ენებს (იხ. ცხრილი 2).

შემდეგ თავში განხილული იქნება გერმანიკული ტომების როლი ევროპის არაგერმანიკულ ენებზე მოლაპარაკე ერების ისტორიაში.

თანამედროვე სკანდინავიელი ერების წინაპარი
ძველგერმანიკული ტომები



ცხრილი 2.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. როდის გამოჩნდა პირველი ადამიანი ევროპაში?
2. რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონოდა ბოლო გამყინვარების დასრულებას ევროპული ცივილიზაციის განვითარებაზე?
3. რომელ ძველ ხალხებს / ტომებს აქვთ ნათამაშები განსაკუთრებული როლი თანამედროვე ევროპელი ერების ჩამოყალიბებაში?
4. ვინ იყვნენ პირენეს ნახევარკუნძულისა და ბრიტანეთის უძველესი ბინადარნი?

5. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, როგორი იყო იბერიული რასის წარმომადგენელთა აღნაგობა და გარეგნობა?
6. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ მოსაზრება ესპანელი და კავკასიელი იბერიელების ნათესაობის შესახებ?
7. რომელ რასას ეკუთვნოდა ხალხი, რომელიც ევროპაში იბერიელთა შემდეგ განსახლდა?
8. დაახლოებით რა ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებული კელტური ტომები?
9. როგორი იყო კელტების სოციალური სტრუქტურა და რა როლს თამაშობდნენ მათს საზოგადოებაში დრუიდები?
10. რა ეწოდება მესამე რასას, რომელიც უძველესი დროიდან სახლობს ევროპის ტერიტორიაზე?
11. ვინ განასხვავა პირველად ერთმანეთისგან კელტური და გერმანიკული ტომები?
12. რა ტერიტორიები ეკავათ უძველეს პერიოდში გერმანიკულ/ტევტონურ ტომებს?
13. რა იყო ხალხთა დიდი გადასახლება და რა შედეგები მოუტანა მან ევროპასა და ევროპელებს?
14. როგორია ძველგერმანიკულ ტომთა კლასიფიკაცია და რა ჯგუფებად იყოფიან ძველი გერმანიკული ტომები?
15. როგორია ძველი გერმანიკული ტომების მიმართება გერმანიკული მოდემის თანამედროვე ერებთან, ანუ რომელი ძველი გერმანიკული ტომები არიან ცალკეული თანამედროვე გერმანიკული ხალხების: ინგლისელების, გერმანელების, ნიდერლანდელების, ფრიზების და სხვა წინაპრები?